წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი 12 ივლისი

# სამშობლო

№402

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.


ამა ივლისის 11 რიცხვს გარდაიცვალა

## მღვდელი გიორგი ნ. დოლიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: **მღვდელი ნიკოლოზ და ზაქარია დოლიძეები.**

ცხედარს წაასვენებენ ქ. ქუთაისიდან (სადგურის პირდაპირ საკუთარი სახლი), 12 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ამაღლებაში (გურიაში), სადაც 14 ივლისს, დღით ხუთშაბათს დაკრძალვენ.


ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

## და გავაქრობ ჩემსა რაშებსა.

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ ბაკშეევისა, ქ-ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით

თმა ჭაღარა მოტრფიალე — კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამლ დე რიზოს მონაწ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.**

## დორიან გრეის სურათი.

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის ვ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ-ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

## განცხადება.

სადგურ რიონზე **დავკარგე** რედიკიული, რომელშიაც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სხვადასხვა ქაღალდები და ათი მანეთი ფულად. მპოვნელს ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, ძლიერ საჭიროა. ყოველ შემთხვევაში კიდევ საჩუქარს მიიღებს 10 მანეთს. ივლიტა სიმონის ასული ტროიან-ნეზაბუტოვსკაია.

ადრესი: რედაქცია „სამშობლო“.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

## აძლევს გაკვეთილებს

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

## ს უ რ ა მ ი.

გამოცდილი მასწავლებელი

## ამზადებს მოწაფეებს.

მისამართი: იტრია, სახლი ღურსმანიშვილისა.

245 3—1

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბოლინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

რიგის ბრძოლის პირის მარცხენა ფრთაზე და რიგის პოზიციებზე რამდენიმე ფიცხელი ბრძოლა მოხდა მტერთან. ჩვენები რამდენიმე ალაგას მტრის პირველი ხაზის სიმაგრეებში შეიჭრნენ. ორივე მხარეს საარტილერიო ცეცხლია. მდ. ლიპას მარცხენა ნაპირზე, ზვინიაჩის მიდამოებში, გოროხოვის აღმოსავლეთით ჩვენი მზვერავებმა მარჯვე მოქმედებით ხელში ჩაიგდეს მთელი სადარაჯო ერთი აფიცრისა და 42 ჯარის კაცისაგან შემდგარი.

კავკასიის ასპარეზი.

ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. აიილო არდასი (გუმიშხანეს ჩრდილო-დასავლეთით). დაატყვევეს 16 აფიცერი და 260 ასკერი 3 ტყვიისმფრქვეველითურთ. ტყვეთა შორის მე-29 ის პოლკის უფროსია.

პლატინის დასავლეთით (შავი ზღვის პირას) ჩვენებმა ოსმალონი სიმაგრეებიდან განდევნეს ფოლისაკენ. ტყვეთა შორის მოკრებილ პოლკის უფროსი ზიაბეი დროშით და კანცელარიით ხელთ ვიგდეთ. ამის გარდა წამოვიღეთ ხელის ყუმბარების საწყობი. გიუმიშხანეს (მის გარშემო დატოვებული მაღაროებია) აღებისას ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი ზარბაზანი, კარავების საწყობში. კილკიატ-ჩევიქლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით წინ მიიწევენ და დაატყვევეს 7 აფიცერი და 120 ასკერი მეხუთე კორპუსის ორი საავადმყოფო ხელთ იგდეს, ავადმყოფებით, დაჭრილებით და შიგ მსახურებიანათ, აქვე დაგვნებდა მე-96 პოლკის უფროსი.

რიგის პოზიციების მარცხენა ნაწილში გერმანელთა ბრძოლა გრძელდება. სმორგონის ჩრდილო აღმოსავლეთით სოფ. მარტიშთან მარჯვე დაკვრით წუხელის ხელთ ვიგდეთ მტრის პოზიციების ნაწილი. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მდებარე მიდამოებში გერმანელების მძიმე არტილერია მძლავრად უშენს. მდ. ლიპის სამხრეთით ჩვენი ჯარი მტერს კვლავ ავიწროებს, ეხლა მან გ.ნვლო დ. ბერესტეჩნო და უფრო დასავლეთით გაიწიეს. 7 და 8 ივლისს ჩვენ სახართვის ჯარმა დაატყვევა 300 აფიცერი (ამათში ერთი გენერალი და ერთი პოლკოვნიკია) და 12000-ზე მეტი ჯარის კაცი. ამნაირად 3 ივლისიდან აფიცრებიანათ 26000 გერმანელი და ავსტრიელი დავატყვევეთ. დავლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

სოფ. ვერბენ-კლიაშევოს მიდამოებში (მდ. სტირის მარჯვენა ნაპირზეა) ლიპის შესართავის სამხრეთით ალყა შემოვარტყით ავსტრიელთა მე 13 სალანდვერე პოლკს და მთლიანად დაგვნებდა ტყვეთ. ბოროხტის მიდამოებში (დელატინმარმაროში სიგეტის გზაზეა.) ჩვენ დავიპყრეთ სიმაღლეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვეები და 3 ტყვიისმფრქვეველი. იმავე მიმართულებით იარემჩეს დასავლეთით ჩვენ დავატყვევეთ ავსტრიელთა ერთი როტა ტყვიისმფრქვევლიანათ.

**ლონდონი.** 9 ივლისი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. გარდა უმნიშვნელო წვრილი შეტაკებათა, ასპარეზზე არა მომხდარა რა და მდგომარეობა უცვლელია. ლეიპციგის რეიდუტის ინგლისელთა ჩრდილოეთ ფრთაზე, ხელის ყუმბარები დაუშინეს და შესძლეს ერთ მოწინავე სანგარში შესვლა, მაგრამ ინგლისელებმა მაშინვე განდევნეს.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 10 ივლისი. რიგის პოზიციების ბრძოლის პირზე გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. მარტიშის მიდამოებში თავი მოიყარეს თავის სანგრებში და გასავალ-გამოსავლებში, მათ სწადდათ წინა დღეს ჩვენ მიერ წართმეული პოზიციების ნაწილი, მაგრამ ჩვენი ზარბაზნების ცეცხლის წყალობით მალე დაიხიეს უკან. ყველა დანარჩენი კონტრიერიშების ცდას დასაწყისშივე ვაქარწყლებდით. მდ. სტოხოდზე ზარეჩიე-ბერეზნიცას მიდამოებში მტერმა გუშინ საღამოს 9 საათზე იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაქციეთ. გუშინ ვოროხტისა ჩარტაროვის მიდამოებში (მარმაროშსიგეტის გზაზე) ჩვენ დავატყვევეთ 5 აფიცერი მათში ერთი ბატალიონის უფროსი, 483 კაცი, ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი და 4 ტყვიის მფრქვეველი. კარპატებში წვიმა მოდის თოვლით.

**ცვლილებანი სამინისტროში.**

**პეტროგრადი.** 9 ივლისი. უმაღლესი ბრძანებანი. მისიმპერატორობითი უმაღლესობის კანცელიარიდან 9 ივლისი 1916 წლისა №39 მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი სახელმწიფო საბჭოს წევრი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის სასახლის ჰოფმეისტერი შტიურმერი რჩება რა მინისტრთა და სახელმწიფო საბჭოს წევრად, საბჭოს თავჯდომარეთ, ინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად, მუსტაციის მინისტრი სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი ტაინი სოვეტნიკი ხვოსტოვი, რჩება რა სახელმწიფო საბჭოს წევრად ინიშნება შინაგან საქმითა მინისტრად. სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი ტაინი სოვეტნიკი ინიშნება, რჩება რა სახელმწიფო საბჭოს წევრად და სენატორად, ინიშნება იუსტიციის მინისტრად თანახმად თხოვნისა სახელმწიფო საბჭოს წევრი, მისი უმაღლესობის კარის ჰოფმეისტერი საზონოვი გადაყენებულ იქნება თავის თამდებობიდან, მხოლოდ დარჩება სახელმწიფო საბჭოს წევრად და ჰოფმეისტერად,

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელების მიერ გერმანელთა მეორე ხაზის სიმაგრეთა აღებას ლონდონში დიდი აღტაცება გამოუწვევია.

— —

მდ. სომმის მიდამოებში ბოლო დროს მომხდარ ბრძოლებს ნამეტანი მკაცრი ხასიათი ქონდათ და პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა

— —

ინგლისელების ცნობით გერმანელები საერთოდ სუსტი წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელებს, რასაც მათ სისუსტეს აწერენ.

— —

ბელგიაში გენტსა და ანტვერპენის შუა გერმანელები გაჩქარებით აგებენ ახალ საველე სიმაგრეებს, რადგანაც ბელგიელების მხრით შემოტევას ელიან.

— —

გერმანელებს პოლონეთში პურის რეკვიზიცია მოუხდენიათ.

— —

პოლონეთის მომავალ მოწყობის საკითხში გერმანია და ავსტრია ერთმანეთის ინტერესებს იცავენ.

— —

გერმანელები პოლონეთში ფართედ აწარმოებენ გერმანოფილურ პროპაგანდას.

— —

პოლონელთა ეროვნული პარტია კოლო პოლონეთის ავსტრიასთან შეერთების მომხრეა. გერმანელებს კი სურთ პოლონეთი გერმანიის სადამოჟნო კავშირში შევიდეს წევრად.

— —

გერმანულ „ვოლფის“ სააგენტომ გამოაცხადა, იტალიამ ოფიციალურად დაარღვია გერმანეთ იტალიის 1915 წელში დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

— —

თურმე უკანასკნელ დრომდე გერმანელებს კიდევ ჰქონიათ იმედი იტალიის მოკავშირეთაგან ჩამოშორებისა.

— —

ჩრდილოეთ ზღვაში გასულა გერმანელთა ფლოტილია სავაჭრო გემების გაჩხრეკისათვის.

— —

გერმანიის ოფიციალურ წყაროების ცნობით 19 ივლისს ომის 2 წლის შესრულების გამო იმპერატორი ვილჰელმი მანიფესტს გამოსცემს, რომელშიაც გამოთქმული იქნება თანამედროვე ომის სამხედრო და საისტორიო მნიშვნელობა.

რადგანაც ულსტერის ნაციონალისტები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ავტონომიის განხორციელებას ირლანდიაში, იქ კვლავ მოელიან უწესოებას.

— —

უნგრეთის პარლამენტს მთავრობის მოქმედების თვალყურის სადევნებლად განსაკუთრებული კომისია აურჩევია.

— —

ფრანციისები ავადმყოფობას ძალიან დაუსუსტებია.

— —

პირველ საბარგო წყალქვეშას კაპიტან კენიგს უთქვამს: ახლო მომავალში გერმანიიდან ამერიკაში მოფრინდება უზარმაზარი ცეპელინიო.

— —

ჟენევიდან იტყობინებიან, მალე გერმანიის კანცლერი ბეტმანჰოლვეგი გადადგება, მის მოადგილეთ თ-დ ბიულოვს ასახელებენ.

— —

გერმანეთის მეორე სავაჭრო წყალქვეშა ნავი „ბრემენი“ ბრაზილიის სატახტო ქალაქ რიოდე-ჟანეიროში მივა.

— —

მოკავშირენი ახლო მომავალში განუცხადებენ ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ გერმანელთა საბარგო წყალქვეშები არ ჩაითვლება სავაჭრო გემებათ, ვინაიდგან მათ განსაკუთრებული მოწყობილება აქვთ და ბარგიც მეტად ძვირფასია.

— —

მოკავშირეებს უკვე გაუმზადებიათ რუმინეთისათვის დიდძალი ტყვია-წამალი, იმ შემთხვევისათვის, თუ იგი მათ სასარგებლოდ ომში ჩაერევა.

— —

გერმანიაში ამ ბოლო დროს კვლავ დაუტყვევებიათ ცნობილი ლიდერი, სოციალდემოკრატებისა ქალი როზა ლიუქსენბურგი, რადგანაც მას გამოუცია პროკლამაციები გერმანიის მთავრობის საწინააღმდეგოდ.

# სამხედრო მიმოხილვა.

გუშინდელი ოფიციალური ფურცელი გვამცნობს ორ საყურადღებო ამბავს, რომელიც გვარწმუნებს, რომ მიუხედავად გერმანელების მედგარ წინააღმდეგობისა რუსები მაინც არ იღებენ ხელს თავის განზრახვაზე.

რუსების მიზანი იყო გერმანელების შებოჭვა რიგიდან ცენტრის მიდამოებამდე რათა არ მიშველებოდნენ ავსტრიელებს. გერმანელები კი ვერ შესძლებდენ თვითონ შეტევას, რადგანაც მოკავშირეები დასავლეთის ასპარეზზე შეუტევდნენ. ამავე დროს კი რუსები წვერებით შემოუვლიდნენ გალიციის მოწინავე ასპარეზს და სრულიად მოსწყვეტდენ მას დანარჩენ გალიციას.

რუსების წინსვლა ბუკოვინაში შვენივრად განვითარდა. ეხლა უკვე კარპატების მთავარ ქედ-ელტეხილს მიადგნენ. ქ. დელიატონიდან მარმაროშსიგეტში მიმავალ გზის მიმართულებით რამდენიმე სიმაღლე დაუპყრიათ. სიმაღლეებზედ დადგმული ზარბაზნები ახლოს არ უშვებენ ავსტრიელთა ჯარს და დროზედ აჩერებს მათ.

მარჯვენა ფრთით რუსებს საქმე ცოტა გაუჭირდათ და მათი წინსვლა დროებით შეჩერებული იყო. აქ მათ ბრძოლა უხდებოდათ გერმანელებთან რომელთა ჯარი თუ ტეხნიკა ბრძოლისა გაცილებით მაღლა სდგას ავსტრიელებისაზე მიუხედავად ამისა რუსებმა მაინც შესძლეს წინ წასვლა. უზრუნველყვეს რა თავის მდგომარეობა მდ. სტოხოდ-ჩაუტორიისკის მიდამოებში სამხრეთით მობრუნდნენ და ცნობილ რაძივილოვ ეროდის მიდამოებს ახლოს შეუტია. აქ რუსებს

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რიგის პოზიციებზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. სმორგონის მიდამოებში სოფ. მარტიშთან რუსებმა დაიპყრეს ნაწილი გერმანელთა პოზიციებისა. ბარნოვიჩის აღმოსავლეთით გერმანელთა მძიმე არტილერია მძლავრად ამოქმედდა. ვოლინში რუსებმა სოფ. ბერესტეჩნო აიღეს. გენ. სახაროვის ჯარს 3 ივლისიდან 26000 კაცი დაუტყვევებია მდ. ლიპასა და სტირის შესართავთან რუსებმა ავსტრიელთა ერთი სალანდვერო პოლკი დაატყვევეს. სამხრეთ გალიციაში მარმაროშ სიგეტის გზაზე რუსებს რამდენიმე სიმაგრე აუღიათ. აქვე დაუტყვევებიათ ერთი ავსტრიელთა როტა ტყვიის მფრქვეველითურთ

**კავკასიის ასპარეზი.** პლატანის დასავლეთით შავი ზღვის პირას რუსებმა კვლავ წინ წაიწიეს და ოსმალები გამაგრებულ პოზიციებიდან განდევნეს. აქ დაუტყვევებიათ პოლკის უფროსი ზია-ბეი თავის კანცელარიით და დროშით რუსებს გუმიშხანეს მიმართულებით კიდევ წინ წაუწევიათ და 20 ვერსით გასცილებიან გუმიშხანეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელების ჰაეროპლანები ორჯერ გადასცილდენ გერმანელთა ჯარს და მის ზურგს უკან მდებარე პოზიციებს დაუშინეს. მათ შეებრძოლათ გერმანელთა ჰაეროპლანები. ინგლისელებს დაეკარგათ ერთა საფრენი მხოლოდ გერმანელებს შვიდი.

გერმანელთა 17 ბატალიონმა იერიში მოიტანა ინგლისელების პოზიციებზე დელვილთან. გერმანელები დიდად დაზარალდენ ბელგიელთა არტილერია განაგრძობდა გერმანელთა სიმაგრეების განადგურებას

**იტალიის ასპარეზი.** ალპის მთაგორებში ბრძოლები გაცხოველდა. ორივე მხარე ენერგიულად მოქმედებს. ქვეითა ჯარის ბრძოლები ნაკლებად ხდება.

---

აუღიათ სოფ. ბრესტეჩკო, რომელიც რაძივილოვის ჩრდილო-დასავლეთით 30 ვერსით მდებარეობს.

მოსალოდნელია აქ რუსები განაგრძობენ წინსვლას და ამ შემთხვევაში გალიციის მოწინავე ასპარეზი შემოვლილი იქნება და მიზანიც მიღწეული.

შვერელი.

## ქართული პრესა.

რამდენადაც ჩვენი დასელები სცდილობენ დაუმტკიცონ ჩვენსავე ქვეყანას ჩვენი — ეროვნულ მიმართულების მიმდევართა — „მავნებლობა“, იმდენად ნელ-ნელა თითონვე ცდილობენ დემოკრატიულ საქართველოს უფლების დაცვის და ქართველი ხალხის სახელისა და ისტორიულ უფლების აღდგენას. ეს სასიხარულო მოვლენაა და ამიტომ უკამათოდ მოგვყავს მათი აზრი „ნოვოე „ვრემიას“ პროვოკაციის გამო. ასეთ რამეს ჩვენი დასელები არ დასწერდენ ამ 5—6 წლის წინად.

აი რას ამბობს „ახალი კვალი“:

ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეუსაბამო დაიწერა რუსულ პრესაში ქართველების შესახებ. მუშათა პრესა და ჩვენი დეპუტატები ღირსეულად შეხვდენ ამ გამოსვლებს. ამასთანავე, ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმეს ამცირებს ის ბრალდებანი, რომელსაც ასე ამ ჩატებულად წამოისვრიან ჩვენს წინააღმდეგ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა წრეები, ეს მხოლოდ უგვანო „ბრალდების“ ავტორთ ქართველი ხალხი ყველა ამ მოჭორილ და უშნოთ შეთითხნილ ცილისწამებათა მაღლა სდგას. ისინი მას შეურაცხყოფას ვერ მიაყენებენ, გადმოსროლილი ტალახი უკანვე მათ უბრუნდება, რადგან ქართველი ერი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და არავის კარგ ატესტატს არ საჭიროებს. ღალატი, ქურდულად მიპარვა, ზურგში ჭრილობის მიცემა,— ეს ჩვენი ხალხის, მისი დედა ბოძის დემოკრატიის დამახასიათებელ თვისებას არ შეადგენს და ამის წინააღმდეგის დასამტკიცებლად, საბუთს ვერავინ მოიყვანს. 1905 წელი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მართლადაც ვიამაყოთ, რომელმაც ოქროს ასოებით აღბეჭდა ჩვენი ხალხის სახელი საკაცობრიო ისტორიაში, საუკეთესო მაჩვენებელია მისი, თუ რა გზით და რა საშუალებით უნდა ჩვენს ხალხს მოიპოვოს უფლებები. ამ გზას მას ვერავინ ააცდენს.

რუსეთის დემოკრატიასთან ორგანიული კავშირი, მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული შეთანხმებული ბრძოლა თავისუფლებისათვის, — აი, რა გზით მიდის ჩვენი ერის განვითარება. და ეს დღესავით ნათელია ყველა იმათთვის, ვინც სინამდვილეს თვალს არ არიდებს და, რომელსაც ინსინუაციების სადერდელი ამღილი არა აქვს...

ამ დღეები გაზეთმა „ნოვოე ვრემიამ“ მორიგი ტალახი გადმოისროლა ჩვენსკენ ერთ თავის მოწინავეში, სადაც ის ეხება ლოზანაში მომხდარ „მსოფლიოს დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლების კონგრესს“, სხვათა შორის ნათქვამი იყო: დიდ დემონსტრაციის მაგივრათ მათ გამოუვიდათ კომედია. ამის მიზეზათ, ავტორი მოწინავესი, ასახელებს იმას, რომ ქართველი ხალხის წარმომადგენლები კონგრესზე, რომელზედაც, გაზეთის სიტყვით, გერმანელები ყველაზე მეტ იმედებს ამყარებდენ, სხვადასხვა აზრის შეიქნენ თავის ხალხის მდგომარეობაზე.

თუ ჩაუკვირდებით ამ მოკლე სიტყვების აზრს, თქვენ დაინახავთ, რომ გაზ. „ნოვოე ვრემიამ“ ორი დიდ მნიშვნელობიანი გარემოება აღნიშნა ქართველების შესახებ. პირველი რომ ამ კონგრესზე, რომელიც გაზეთის გადმოცემით, გერმანელების მიერ იყო მოწყობილი, ქართველ ხალხს თავის წარმომადგენლები ჰყოლია და, მეორე გერმანელები ყველაზე მეტ იმედებს „ქართველი ხალხის წარმომადგენლებზე“ ამყარებდენ. საჭიროა ჩვენი მკითხველი ყველა ამას ჩაუკვირდეს. ძლიერ საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არიან ეს „ქართველი ხალხის წარმომადგენლები“, ვინ ლაპარაკობს ასეთ საპასუხისმგებლო დროს და ადგილას ქართველი ხალხის სახელით. ჩვენ გვჯერა, რომ ლოზანას კონგრესზე ქართველები იქნებოდენ. იქ თავი მოუყარა დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან სხვადასხვა ერთა შვილებს, მხოლოდ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართველ ხალხს იქ თავის კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყოლია მაშ რა უფლება აქვს ვინმეს თითო-ოროლა ქართველს, რომელიც შემთხვევით კონგრესზე მოხვდა, ქართველი ხალხის წარმომადგენელი უწოდონ?

თუ ასეთებმა მოქანდათ თავი კონგრესებზე მაგრამ ქართველებს, ჩვენ სრული ნება გვაქვს ისინი წმინდა წყლის ავანტიურისტებათ მოვნათლოთ. ჩვენ არავის მივცემთ ნებას ასე უდიერათ ისარგებლონ ქართველი ხალხის სახელით. მათ შეუძლიათ, რასაკვირველია, თავიანთი სახელით რაც უნდათ ის ილაპარაკონ, მხოლოდ საზღვარს ნუ გადასცილდებიან და ჩვენს ხალხს ნუ მოახვევენ თავზე მათი ნამოქმედარის და ნააზრევის შედეგებს. უპასუხისმგებლო „პოლიტიკოსები“ შარაგზის მძარცველებზე უფრო საშიშია. გაზ. „ნოვოე ვრემია“ თვით ნათლავს ჩვენი ხალხის წარმომადგენლების სახელით ამ ჩვენს თანამემამულეებს, რომელიც კონგრესს დასწრებიან და ამით ის წინასწარ განზრახულ პროვოკაციას ეწევა. ეს ხომ ცნობილი სისტემაა. ვიცეს დეპეშა, აჭარლების „ღალატი“ და ეს შემთხვევაც, მხოლოდ რგოლებია იმ ჯაჭვისა, რომლითაც „ნ. ვრ“. და კამპანია ღამობს **ქართველი ხალხის თავისუფლებისა და მის ისტორიულ უფლებების ჩახრჩობას** მაგრამ ამაოთ, ხალხმა, რომელმაც გაუძლო ამდენ უბედურებას თავის არსებობის პროცესში, მან უკვე დაამტკიცა თავის ცხოველმყოფელობა, სიცოცხლის ძალა და ზრდა-განვითარების უნარი.

ქართულმა პრესამ კი საჭიროა ხმა ამოიღოს და გადაჭრით სთქვას, რომ ჩვენი ხალხის სახელით ლოზანის კონგრესზე ლაპარაკის უფლება არავის ქონდა.

ჭეშმარიტად ქართველ ხალხს არავისათვის არ მიუნდვია არც დაცვა თავის თავისა „ლოზანის“ კონგრესზე და არც დავიწყება მისი ინტერესებისა სხვა „კონგრესებზე

## მილოცვა.

### თ. ხუსკივაძის სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს გამო.

გულწრფელად ვულოცავ ძვირფას თეოფილეს სამწერლო ასპარეზზე ნაყოფიერ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას. ვუსურვებ ჯერ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განეგრძოს მუშაობა.

ეკატერინე და დავით ელიავა.

—

გულ-მხურვალედ ვულოცავთ წყნარ მუშაკს მის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას.

ეკატერინე მესხი.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის მსყიდველი ბიურო აუწყებს შაბიამნის დამკვეთლებს, რომ მიღებულია კიდევ ორი ვაგონი (2000 ფ.) შაბიამანი და მიიღებენ დამკვეთლები წილხვდომილს თუ კი ყოველ დაკვეთილ ფუთზე წარმოდგენილი ექნებათ 15 მანეთი.

✦ 10 ივლისს ვერაგულად მოკლულის, ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტის შიო ჩიტაძის ათი წლის გადიცვალების თავზე, მღ. მიხეილ ბუაჩიძემ, სოფ. უკანეთში წირვა და პანაშვიდი გადაიხადა. ნაწირვებს იქვე ეკლესიის ეზოში გადაცვალებულის მოღვაწეობის შესახებ საუბარი იქმნა გამართული ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

✦ ცნობილი მოღვაწე და პუბლიცისტი გიორგი ზდანოვიჩი რომელიც მძიმე ავად იყო, უკეთესობას გრძნობს.

✦ რადგანაც ვერ მოასწრეს ყვირილის თეატრის შენობის შეკეთება 8—6 თეოფილე ხუსკივაძის იუბილე, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, სხვა დროისათვის გადიდო.

✦ როგორც გორიდან გვწერენ იქ არავითარი ხოლერა არა ყოფილა. ის ორი მსხვერპლი, რომლებიც ხოლერიანი ეგონათ, მოწამლულან მოუკალავ ქვაბში მოხარშული საჭმელისაგან.

✦ აუტანელმა სიცხეებმა ძალიან შეაწუხა ქუთათურები. ნამეტნავად შეწუხებული არიან სოფლელები. ეშინიათ მოსავალი სულ არ წახდეს.

✦ ცნობილი ლექტორი ალ. გარსევანიშვილი გუბრში გაიწვიეს ლექციის წასაკითხავად ქართულ ენაზე 24 ამ თვეს იქ გაიმართება [illegible] საღამო, გარსევანიშვილის [illegible] კი და მისი პოეზიის მნიშვნელობა.“

✦ როგორც ხაშურიდან ჩამოსულებმა გვიამბა, შაბათს დილიდან ხალხს პოლიციის დახმარებით გაუჩხრეკიათ ვაჭრების სახლები, საწყობები და სავაჭროები და მრავალი გადამალული საქონელი ამოუჩენიათ. ეს საქონელი ჩაბარდა პოლიციას, რომელმაც ნიხრზე უნდა გააყიდვინოს ვაჭრებს.

✦ კვირას **10** ივლისს არქიელის გორაზე გრიგორ ჩარკვიანის რეჟისობით გაიმართა წარმოდგენა რამაც კარგად ჩაიარა. ხალხი კმაყოფილი დარჩა.

✦ 16 ივლისს შაბათს ღამით, ახალ სენაკში ლექციას წაიკითხავს კატო მიქელაძის ქალი.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ მოაწყო ქუთაისში ჩამომსვლელ მასწავლებეთავის ღამის გასათევად ათი უფასო საწოლი.

ქალთათვის ოთხი საწოლი გამართულია ქალაქის ქალთა სასწავლებელში გოგებაშვილის ქუჩაზე (გენერლის ქუჩა) და ვაჟთათვის ივანოვის ქუჩაზე, ქალაქის პირველ საწავლებელში

✦ დ ხარაგაულში საზოგადოებამ დაადგინა: გახსნას პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. შუა დგომლობა უკვე აღძრულია.

ამ სასწავლებლისთვის ადგილობრივი მღვდელი დეკ. ე ვეფხვასე უთმობს ორ სახლს, რომელიც მას მოძრაობის დროს გადაუწვეს და დღეს შეკეთება საჭიროება. ამ შენობაში 14 ოთხისა

✦ „ღულაძისეულ“ მოედანზე ვაჟაფშაველას სახელობის სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტს ერთი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია სამკითხველოსათვის ვერც ოთახის დაქირავება და ვერც საკუთარი შენობის დაწყება; როგორც გადმოგვეცს მიზეზი ამისა ის არის, რომ კომიტეტის წევრთა თავმჯდომარის შორის უთანხმოება არის, რის გამო საქმეს აგვიანდება. საჭიროა სამკითხველოს პასუხის მგებელმა მამგემ ბ—მა. ბზვანელმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და როგორმე ამ მოკლე დროში საქმე მოაწესრიგოს

✦ ოთხ ივლისს მდინარე ძერულაში, ქუთაისისა და შორაპნის მაზრის შუა ნახეს გვამი უცნობი კაცისა რომელიც დაჭრილი იყო გულში. მკვიდრი აღმოჩნდა სოფელ როდინოულის მცხოვრები ნიკოლოზ დუტიძე, როგორც გამოირკვა დუტიძეს აქტიური მონაწილეობა მიუღია ივანე ჩიხლაძის გატარცვა-

---

## ნუ თუ?

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

(იხ. „სამშობლო“ № 401.)

ყველა ამის დასამტკიცებლად ხელ ახლად ვთხოვ „მოგზაურის“ რედაქციას და მის მიერ პატივისცემით მიღებულ მტყუან კორესპონდენტს, მიბძანდენენ და ადგილობრივ გამოჰკითხონ იმისთანა მართალს და მიუდგომელ მოწმეს, როგორც ადგილ მდებარეობაა და ბუნება, რომელნიც თავის დღეში არა სტყუიან. მაშ გურამიანთ კარს ისე როგორ გაუჭირდებოდა ან როდისმე, ან ამ ზამთარს, რომ ამდენ უფრო ადვილად ხელთ მისაწვდენს უფრო დიდ წყლებისათვის თავი დაენებებინა და უფრო შორს სადღაც მიუვალ ღელეში დაეწყო „პატარა წყაროთი სარგებლობა“ და ამ სარგებლობისთვის თვეში ათი შაური ბაჟი ეძლია თითო სულ საქონელზე ვითომდა იმ მიზეზით, რომ სოფელი უწყლოდ დარჩენილა და ჩემს იქით მეტი გზა არა ჰქონებიათ.

მას მერმედ, რაც მოგახსენეთ წყლების თაობაზე, ნუ თუ აშკარა არ არის, რომ გურამიანთ კარს ბევრი სხვა გზა და წყალი ჰქონია იქავ ცხვირ წინ და, მაშასადამე, მთელი ეს უწყლოდ დარჩენა, ეს პატარა წყაროთი სარგებლობა და ამ სარგებლობისათვის თვეში ათი შაურის იძულებული ძლევა თითო სულ საქონელზე, თუ ურიცხვი ტყუილი არ არის, რა ჯანაბაა.

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ აქ მარტო უმანკო მტრედის უგუნურებაა ავტორის მხრით და სხვა არაფერი. ნურას უკაცრაოდ: ავტორს კარგად სცოდნია, რისთვის რას ამბობს. რაკი გულზე მოსწოლია იგი საძაგელი საწადელი, რომ ასე თუ ისე გამაბიაბრუოს და ამისათვის ის ბრალი მოუგონია,— ვითომც წყლის ბაჟს ვახდევინებდე თვეში ათ შაურს თითო სულ საქონელზე, ავტორს უგრძვნია, რომ ამისთანა ამბავი ბევრს არას იტყვის ჩემდა შესარცხვენად, და ჩემი დანაშაული ეგრეთ სადად მორთული, ისე შემაზრზენი არ იქნება, როგორც ავტორისათვის სასურველია. აშკარაა, ამ დანაშაულის გაძლიერება, გაზვიადება დასჭირებია და ეს ტყუილები კუდად გამოუბამს — ვითომც წლის ბაჟი სადღაც მიუვალ ღელის პატარა წყაროში მიურთმევია. უამისოდ კაცი იფიქრებდა: ილია ჭავჭავაძეს ალბად დიდი რამ წყალი, ადვილად მისაწვდენი ჰქონია და თუ მართალი ბაჟი დაუდვია, ეს ჯერ იმისთანა ავ-კაცობა არ არის, რომ ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელი და შესანდობარი არ იყოს.

აი ეს მცირე წყალობაც არ გაუმეტებია ჩემთვის ამ გულ-გაჯიქებულს პატიოსანს მაბეზღარს და მიუვალ ღელეობა და პატარა წყაროობა მოუგონია, რომ კაცს ათქმევინოს: ეს ილია ჭავჭავაძე რა კაცი ყოფილა, რომ სადღაც მიუვალ ღელეში პატარა წყარო ჟონავს და იმაშიაც კი ბაჟი ურთმევია და ხარჯი დაუდვია გლეხებისათვის. მერ რამდენი? თითო სულ საქონელზე ათი შაური.

საქმე კი აი რაშია: საგურამოში, რომლის წრეშიაც ხუთი სოფელია, გლეხ-კაცები სხვადასხვა მემამულის ტყესა და მინდორს ჰხვდებიან საქონლის საძოვებლად, სხვათა შორის, ჩემსა და ჩემის მეზობლის თავისუფალ მამულებსაც. დიდის ხნით დაწესებულია, რომ ვინც სხვის მამულს მოხვდება საბალახედ, მამულის პატრონს უნდა აძლიოს თვეში ერთი შაური თითო სულ საქონელზე, ესე იგი, წელიწადში სამი აბაზი, სოფელ წიწამურის გარდა, სადაც თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც საშოვრად უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა მაშინ, როდესაც მთიელები და სხვა შორიდან მირეკილ საქონლის პატრონები, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ექვს — შვიდს აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საბალახოს ისიც ხუთს — ექვს შემოდგომის და ზამთრის თვეებში და არა მთელის წლის განმავლობაში.

ალბად ეს არის იგი ხავსი, რომელსაც ჩვენი აქაც წყალ-წაღებული ავტორი ჩაჰკიდებია, არც ულციებია არც უცხელებია და თვეში ერთი შაური ერთი ათად შეუკეცია, ერთი შაური ათ შაურად გაუხდია და საბალახე წყლის ბაჟად უქცევია. აბა რა ეთქმის ამისთანა კაცს, რომელიც მაბეზღარის საქებურს ხელობას შესდგომია და იმოდენა მოხერხებაც კი არა ჰქონია, რომ ასე ადვილად გამსაჩხრეკ თაღლითობასაც არ მორიდებია. ჟინი ბეზღობისა შურის-გებისა, ჟინი გულ-ღვარძლიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ჟინი, ძნელად თავ-დასაჭერია, რაკი კაცს შესჩვევია.

დაგვრჩა ახლა ერთი ბრალიც, რომელიც ამ ზამთარს წყლების გაყინვას და ამის გამო გურამიანთ კარის უწყალოდ დარჩენას მოჰყოლია ვითომც.

ავტორი უკანასკნელ ბრალის შესახებ ასე მოგვითხრობს, — ვითომდა გლეხის ნალაპარაკევს:

„ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ღატაკი; ასე რომ ჩვენ — ღარიბებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავისის ცოლ-შვილით. ერთს დღეს ამ კაცს აემსო ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, — რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. — თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ, მე კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ავლანტალდი და, ხომ იცი, სულ ავადა ვარო. „შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო“ „და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ სავსე კოკა ზედ დაამტვრია ნახევრა შიშველ გლეხსაო“.

თუ ეს მთელი ისტორიაც კოკების მტვრევისა თავიდან ბოლომდე ტყუილი გამოდგა და სულ მთლად მოუგონია სახელოვანს წარმომადგენელს ერთგვარ პრესისას, რა სახელი უნდა დაერქვას ან ავტორს, ან მის საქციელს!

ვიდრე ამ კოკების მტვრევის ამბავს კრიტიკაში ჩავუღრმავდებით და არაქათს გავუწყვეტთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ყველა ეს ამ ზამთარს მომხდარა. დავიჯეროთ, ისიც, რომ აქ ხსენებული საცოდავი გლეხი სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ამდგარა და სულ ავად თურმე ყოფილა. ამისდა მიუხედავად, ამჟავადმყოფ კაცს ცხვირ წინ წყაროსათვის თავი დაუნებებია, ზამთრის ყინვასა და სუსხში სოფლის ზემოდ სამ ვერსზე წახეტიალებულა, ორის კოკით აკიდებული, რომ სადღაც მიუვალ ღელეში, პატარა წყაროზე, ეს ორი კოკა აევსო, ზურგზე გადაეკიდნა და იმ სიშორიდან სოფელში ჩამოეტანა.

განა წარმოსადგენია, განა შესაძლოა, რომ კაცი, რომელიც სულ ორი კვირაა, რაც ადგა ქვეშაგებიდან და სულ ავად არის, ნახევრად შიშველი, ორი კოკა, სოფელ ზევით მთაში სამს ვერსზე მიუვალ ღელეში პატარა წყაროზე მიეტანოს. იქ ორი კოკა აევსოს, სავსე კოკები ზურგზე აეკიდნოს და სოფელში ჩამოეტანოს. ორი სავსე წყლით კოკა ჯერ სახედარისა და ცხენისათვისაც მძიმე სატარებელია და ნაავადმყოფარი, სნეული კაცი როგორ უნდა მორეოდა? ან რა საჭიროა, რა ჭკუაში მოსასვლელია ნახევრად შიშველმა, სნეულმა კაცმა ეს მძიმე საპალნე აიკიდოს და სამის ვერსის სიშორეზე მიუვალ ღელეში წავიდეს წყლის ჩამოსატანად, როცა რამდენისამე ლაჯის გადადგმაზე შიგ სოფელში მშვენიერი წყაროა, როგორცა ვთქვით.

რაკი ასეა, მაშ ეს ნახევრად შიშველი გლეხი და მის ზურგზე კოკების მტვრევა სრული ზღაპარია მაბეზღარისა და სხვა არა-რა. თუმცა ასეა მაგრამ ჩვენი ტყუილის მცხობელი მხილებელი ამასაც არ ჰკმარობს და მოგვითხრობს, რომ ამ არა ყოფილს მტვრევას კოკებისას არა ყოფილ გლეხ კაცის ზურგზე. ილია ჭავჭავაძე „ბალკონიდან ოთხას მანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა (აბა, ტრაგედია აქ არის და: ცალკე ოთხას მანეთიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი), გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულს მოურავსო“.

ნუ დავივიწყებთ, რომ ნახევრად შიშველი გურამიანთ-კარელი გლეხი გზად მიმავალი ყოფილა ჩემის ტყიდან, როცა მე კოკების მტვრევისათვის მიყურებია. თუნდ ეგეც იყოს, ორმოც თუმნიანი ქურქი აქ რა სახსენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, რომელიც მოხდა სოფელ სიმონეთში 30 ივნისს და როგორც სჩანს ლუტიძე მოუკლავთ ამხანაგებს ფულის გაყოფის დროს.

✦ კვარას 10 ივლის სტუდენტთა და მოწაფეთა მონაწილეობით დ. ხრესილში ქორქოლაძეების აბანოზე გაიმართა წარმოდგენა, ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოადგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, წარმოდგენამ რიგიანათ ჩაიარა.

✦ 16 ივნისს სოფელ ლიხაურის მცხოვრებმა გლეხმა ივლიანე გორგოშაძემ თავის მოკვლის განზრახვით გადაისხა ნავთი წაიკიდა ცეცხლი და დაიწყო სიარული. დამწვარი მეორე დღესვე მოკვდა მიზეზი თვითმკვლელობის გამოურკვეველია.

✦ შაბათს დამის მატარებლით ფოთიდან ქუთაისს დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი.

— ბალახვანის ქუჩაზე მხეიძის სახლთან, რიონისაკენ ჩასახვევში დიდი სიბინძურეა, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ-არს.

✦ 30 ივნისს სოფელ კაცხის ვაჭრებს კონსტანტინე დრანდრაფილოვის და მიხეილ ჩიხელიძეს მოსვლიათ უსახელო წერილები, და ფულს სთხოვდენ თითოს 200 მ. ეს წერილები დაწერილი ყოფილა ადგილობრივი გლეხის იოსებ მოდებაძის მიერ ბრალდებული მოდებაძე შეიპყრეს და უკვე გამოტყდა.

— 19 ივნისს დალამებისას, სოფელ გომის მცხოვრებმა გლეხმა ივანე კილიანტარმა ტყიდან ესროლა რევოლვერი და დასჭრა გვერდში იმავე სოფლის მცხოვრები ივტიბი მახარაძე.

✦ ღამით 17 ივლისს სოფელ სურებში ჩოხატაურის საბოქაულოში დაიწვა სახლები ბაბუსა ტრაპაიძისა და ერმალო შათირიშვილისა. ზარალი სულ 250 მანეთამდია.

✦ 5 ივლისს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ ზუგში (ზუგდიდის მაზრა) მომხმარებელთა საზოგადოება „დახმარება“.

— 5 ივლისს გუბერნატორმა ნება დართო დაარსონ სოფელ ილორში სუხუმის ოლქში მომხმარებელთა საზოგადოება „დახმარება“

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ საუგავის ტყეში ოზურგეთის მომხმარებელთა საზოგადოება „შემნახველობა“.

— **ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.** სოფელი სიმონეთი: ამ ბოლო დროს აქ გაჩნდა ყაჩაღთა გუნდი. 10 კაცისაგან შემდგარი, რომელთა მოწყალებითაც აქ ძლიერ გახშირდა ცარცვა გლეჯა. კვირა ისე არ გაივლის, რომ ან არავის არ დაეცენ და ან არავის არ დახვდენ. ამ დღეებში ამ ყაჩაღებს სიმონეთიდან გაუტაციათ საწყალი მათხოვარი სერბიელის ქალი და ორი დღის შემდეგ სოფელ ნაგარევში დაუტოვებიათ

— აქ სამეურნეო სტატისტიკური აღწერილობა უკვე დაიწყო წასული კვირიდან. ხალხს, რომელთაც არ ესმით ამ აღწერილობის ნამდვილი მნიშვნელობა, ძლიერ ეშინია, სახიფათო არა იყოს რამ.

საჭიროა ადგილობრივმა ინტელიგენციამ გააცნოს ხალხს ამ აღწერილობის ნამდვილი მიზანი და მნიშვნელობა.

✦ სოფლის წვრილი კრედიტის ამხანაგობამ, სთხოვა გუბერნატორს გამოუწეროს მათ 35 ვაგონი სიმინდი.

## ჩემი პასუხი ,,არა ებრაელს''.

(დასასრული იხ. „სამშ.“ № 401)

ისიც მიპასუხეთ, რა დამოკიდებულობა გაქვთ თალმუდთან, ხომ იცით რომ ძალიან გახშირდა ჩვენ ხალხში ჩვენდა სასიხარულოდ თალმუდის სწავლა და თვითონ თქვენს მიერ დაწუნებულ რუსეთის ებრაელები მოგყავთ მასწავლებლად და, მგონი, თვით ქუთაისშიაც მოგიყვანიათ.

მიპასუხეთ გაბედულად, რავა სცნობთ დიდ ფაბკუნჯ არამბამის წიგნებს. იგი ხომ წმინდა ეროვნულია: ან შელომო ბენ გაბილორის ან იუდა ალევის, ან შემუელანაგიდის პოეტურ ნაწარმოებს. ხომ იცით რომ ყველა მათი ნაწარმოები ჩვენ ლოცვებში დამამშვენიერებელი ვარდებივით იჭვრიტებიან და თუ თქვენ ეს ეროვნული ნაწარმოები არა გწამთ, აბა რა უნდა ამას ჩვენში, სად ეგვიპტელი არამბამი, გერანდელი ბემუელანაგიდი, ისპანიელი იუდა, ლევი და აგრეთვე სხვები და სად ჩვენი ქართველნი ისრაელნი? და თუ ბ.-ნო სტ.-ტო! ესენი ყველა ჩვენში იპოვება, აბა-კი ვყოფილვართ წმინდა ებრაელები და რის ძალით მეკითხებით: „რა გვაქს ჩვენ და შ. ყ. რაბინოვიჩს საერთოო“? სწორეთ მეც მაგაზე ვტირი, რომ მის ნაცვლად, რომ სტუდენტები უნდა ყოფილიყოთ ჩვენი ხალხის გზის მაჩვენებელი და სანთელი, გაცრუვდა ჩვენი იმედები. გინდათ გაიგოთ ვინ იყო შ. რაბინოვიჩი ჩვენთვის? წაიკითხეთ მისი ნაწერები და მას შემდეგ გადახედეთ თქვენ პატიოსან დედ-მამის ოჯახის შაბათ ღამის ვახშამზე და მაშინ მიხვდებით, რომ იგი არამც თუ—მარტო რუსეთის ებრაელების ფსიხოლოგიის გამომხატველი იყო, არამედ მთელი ქვეყნის ებრაელების. განა იმდენი შეგნება ვერ მიგიღია, ბ-ნო სტუდენტო, უნივერსტეტში, რომ გაეგოს რა გვაქს საერთო? და ესეც საბუთი იქნება თქვენთვის, რომ სარწმუნოება ებრაელობისა ქმნის ჩვენს ხალხში საერთო ფსიხოლოგიას, საერთო ზნეობრიობას და სულიერ გაკვეთილებს...

თქვენ მეკითხებით „რომელ ებრაელებს გინდათ გააცნოთ ილია, შოთა და სხვ. და უნდა გადაუთარგმნო მათი ნაწერები, ებრაელურათაო“ და აქაც ძალიან შფოთობთ რა გაშფოთებთ! თუ კი ეს მოხდა განა ცუდ-სამსახურს უწევთ ქართულ ლიტერატურას! განა საამაყო არ გვექნება ჩვენ მოძმე ებრაელებთან სხვა ქვეყნებში თუ ჩვენ მათ გავაცნობთ. ძვირფასს იროდიონ ევდოშვილის ლექსებს სახელდობრ „ისმინე ერო ისრაელისა“ ან „ტირილი ებრაელებისა“, ან და სხვა ამისთანა მარგალიტ ნაწარმოებს? თუ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, და სხვა ერის მწერლების ნაწერებია გადათარგმნილი ებრაელურათ რა გაწუხებთ რომ 14 მილიონმა ებრაელებმა ცოტა მაინც გაითვალისწუნოს ევდოშვილისა და სხვ. ნაწარმოები, გაიცნონ კაცთა მოყვარეობა მათი ან კიდევ თვით ებრაელური ნაწარმოებიც იქმნეს ქართულად გადათარგმნილი? განა გინდ რუსულათ, ფრანგულათ, ინგლისურათ არ არის გადათარგმნილი ფ. სმოლენსკის, ი. ლ. გორდონის და თვით ბ. რაბინოვიჩის ნაწარმოებნი? განა ცუდი იქნებოდა რომ ქართულათ ყოფილიყო ებრაელური ნაწარმოები და გამდიდრებია ქართული ლიტერატურა? მე „წმინდა ებრაელის სულის პატრონი“ მოვითხოვ ქართული ლიტერატურის გაფართოვებას საქმით და არა სიტყვის რახა-რუხით. თქვენ „წმინდა ქართველო“! კი ამაზე შფოთობთ. რითი უნდა აიხსნას თუ სალი მოსაზრების დაკარგვით არა? ან და ვინ უწევს ხალხს დათაურ სამსახურს თქვენ, თუ მე? ეს მკითხველმა გაასამართლოს ჩვენ შორის!

დასასრულ, ორიოდე სიტყვით გესალმებით მეორე წერილამდინ „თქვენ სარწმუნოებას ვითომ და არ ეწევით“. ზემოდ მე ნათლათ გავაშუქე, რომ ჩვენი ეროვნება და სარწმუნოება გაუყოფელია, ამას კარგად მიხვდება მოუქთამებელი აზრის მკითხველი და როცა თქვენ ჩვენი ეროვნულათ გამოყოფა გსურთ ებრაელობიდან თქვენი მოსაზრება იმ „ჰკვიანი“ კაცის სიტყვას წარმოადგენს: „ამხანაგო! მერწმუნე მარტო შენი თავის მოჭრა მინდა და არა შენი სიკვდილიო.“ სწორედ ასე ჩადიხართ, თავს გვჭრით და თანაც იმას დაგვძენ „სარწმუნოებას არ ვეხებით“ განა კიდევ ვერ გაგიგიათ რომ ეროვნულათ მაშინ დაშორდებით სხვა ებრაელობას როცა სარწმუნოებას გაექცევით? ეს ხომ იცით, ბ-ნო სტუდენტო! რომ ყოველი თქვენი ცდა უნაყოფოთ იქნება ამის შესახებ. შეიძლება მე ბააზოვი, პირადად დამძალოთ, შემავიწროვოთ რაბინ ელუაშვილის დახმარებით ბნელ ხალხში ქადაგებით ჩემ წინაამდეგ, მაგრამ ის კი მწამს, რომ ყოველი მოლესილი ენა ებრაელების მიერ დაძველდება და ებრაელობა კი გააგრძელებს, თავის ეროვნულ და სარწმუნოების იდეას, რომლის მიზანიც არის ხსნა თავისი და მთელი კაცობრიობისა.

ონის ებრაელების რაბინი დავით ბააზოვი.

## პატარა ფელეტონი

### ᲓᲐᲒᲣᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲕᲔᲚᲘ.

ბავშობიდან ოცნებობდა სარდიონ ივანეს ძე ზუბალაძე გამხდარიყო გიმნაზიის მასწავლებლად და აი მიზანს კიდეც მიაღწია. მართალია, ბევრი გაჭირვება გამოიარა, არა ერთხელ ყოფილა მშიერი და ზამთარში ბლუზის ამარაც ბევრჯერ უვლია, მაგრამ ეს ხომ ყოველივე წარსულს ჩაბარდა: ეს ხომ ყოველივე დაინგრა და იმ ნანგრევებზე აშენდა ახალი ცხოვრება სარდიონ ზუბალაძისა.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ რამდენიმე წელიწადს რუსეთში მსახურებ და მერე მოახერხა და ადგილი იშოვა იმ გიმნაზიაში, სადაც ერთხელ თითონვე სწავლობდა... შრომობდა მუყაითად, მთავრობის წინააღმდეგობას ერიდებოდა და უფროსებიც ისე უცქეროდენ, როგორც ერთგულ მონას.

ჩვეულებრივად მიდიოდენ დღეები.. სამ საათამდის მეცადინეობდა, ნასადილევს რვეულების სწორებას უნდებოდა. ხანდისხან პედაგოგიურ კრებებზედაც უხდებოდა დასწრება. დრო-გამოშვებით მიდიოდა თეატრშიაც, მაგრამ ხშირად ორი მოქმედების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა: დილას ადრე ვერ მივალ გიმნაზიაში და დირექტორი შენიშვნას მომცემსო.

და აი მოხდა ის, რაც ჩვეულებრივად ხდება; სარდიონ ივანესძეს შეუყვარდა ახალგაზდა ქალი. შეუყვარდა ისე გაგიჟებით, ისე ძლიერათ, რომ თუ თქვენ როდისმე შეყვარებული არ ყოფილხარ, მისს სიყვარულს ვერც კი წარმოიდგენთ. დღე არ გავიდოდა ისე, რომ თავისი სატრფო არ ენახა. მისი სახე სულ თვალწინ ედგა. სიზმარშიაც მას ნახულობდა და დღეღამის განმავლობაში ოთხი საათი თუ გამოდგებოდა როცა მაზე არ ფიქრობდა თორემ დანარჩენ დროს სარდიონ ივანეს ძეს ფიქრი თავს დასტრიალებდა ახალგაზდა ქალს.

შეყვარებულებმა ჯვარი დაიწერეს და დაიწყო თაფლივით ტკბილი ცხოვრება. ამ გვარი ყოფა გაგძელდა სულ სამ თვეს, მერე კი ცოლქმართ ხშირად უსიამოვნობა უხდებოდათ...

დაბეჩავდა სარდიონ ივანეს ძე; გული გაუფუჭდა, აღარაფრის ხალისი აღარ ჰქონდა: წვერი მოუშვა, ტანისამოსაც აღარ აქცევდა ყურადღებას და მუდამ დაღვრემილი იყო ასე წარმოიდგინეთ, მოწაფეთა რვეულებზედაც ნიშნებს წინანდებურად აღარ აწერდა. თუ წინად ორიანს დიდ უშველებელ თავს გაუკეთებდა და აბაზიანის სიფართეზე გაალებინებდა თვალს ეხლა მოკუზავდა, მობუზავდა სწორედ ისე, როგორც თითონ იყო მობუზული...

ბოროტი ენები ამბობდენ: ცოლი ხანდისხან კიდეც სცემს ბ-ნ მასწავლებელსაო... ვინ იცის, იქნებ ეს მართალიც იყოს; დასამტკიცებელი საბუთი კი ხელთ არა გვაქვს, თუ არ ვიანგარიშებთ [illegible]რემოებას, რომ მოსამსახურე [illegible] ზობლებში ლაპარაკობდა: ხშირად ოთახიდან ქალბატონის ყვირილი მოისმის და ბატონი ბავშივით ტირისო“.

ყოველ უსიამოვნებას სარდიონ ივანეს ძე მალე ივიწყებდა. თუმცა თითონ უსიამოვნება უკვალოდ არა ჰქრებოდა და, კარგ გამოცდილ მოქანდაკესავით, მისს პირისახეზე ნაოჭებს აკეთებდა. ყველაფერს ადამიანი შეეჩვევა თურმე და სარდიონ ივანეს ძეც შეეჩვა ამ გვარ მდგომარეობას. მას ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა უცოლოდ ცხოვრება, რომ უცოლოდ იგი სამუდამოდ არ დაიღუპებოდა; ცოლი რაღაც მაჯლაჯუნ სავით აწვა მთელ მისს არსებას: მის წინაშე იგი უსულო მანქანად ხდებოდა. საშინელი იულაჯობა გამოეხატებოდა ხოლმე სახეზე, როგორც კი თავისს თანამეცხედრეს დაინახავდა და ისე ეშინოდა მისი, როგორც პატარა გიმნაზიელს მრისხანე დირექტორისა.

ამ წუთში კი მასწავლებელი არა ჩვეულებრივ ხასიათზე იყო: სადღაც გამქრალიყო მისი შიში, მოკრძალება და ჩქარი ნაბიჯით ამაყად მიდიოდა ქალაქის ქუჩაზე- იგი პედაგოგიურ კრებაზე იყო, მერე იქიდან ვახშმად ამხანაგმა შინ წაიყვანა და სახლში ეხლა ბრუნდება. ღამის პირველი საათია ქალაქში ყველას სძინავს; ხანდისხან თუ ყარაულები გასძახებენ ერთი-მეორეს ან და შორს სადმე გასრიალდება ეტლი, თორემ სხვაფრივ მკვდარი სიჩუმეა .. ძველმა ღვინომ იმოქმედა: მიდუმებული და მითვლემილი ფიქრები ზეზე წამოაყენა და შეიქნა სარდიონ ივანის ძის თავში გაცხარებული მუშაობა...

ის ადარებდა თავისს ყოფას ამხანაგის ცხოვრებასთან. გული ეწამლებოდა. ამხანაგს ჰყავს მოსიყვარულე ცოლი და ბედნიერადაც ცხოვრობს. „ეხ!.. რა არის ჩემი ცხოვრება... ცხოვრება გიმნაზიის მასწავლებლის, სარდიონ ზუბალაძისა? სულ მუდამ შრომა და ამასთან კიდევ ბუზღუნი, ჯავრობა, ლანძღვა და გინება...

მას წარმოუდგა თვალ-წინ სიყვარულის დღეები!.. როგორ გაუბრწყინდებოდათ ხოლმე თვალები, ერთმანეთს რომ დაინახავდენ. ეგონათ მაშინ, რომ ერთი-მეორის სიყვარული სულ მუდამ ექნებოდათ და ბედნიერებას დასასრული არ მიეცემოდა... და ეხლა კი სიზმარივით გაჰქრა ყოველივე! სადღაა უწინდელი გრძნობა?

მასწავლებელი მხოლოდ ეხლა ხედავდა, რომ მისი ცოლი საოცარი დაბალი და მორგვივით მსხვილი იყო. ხელის თითები მოკლე და უშნოთ დასუქებული ჰქონდა, მოწითალო პირისახე ჭორფლით იყო აჭაკჭაკებული... და ამასთანავე კიდევ საშინელი ბინძურობა და უსუფთაობა დაეტყო. ეხლა ხედავდა... რომ მისი მეუღლე გუდასავით წამოკოტრიალებული იყო ტახტზე და ოჯახში თვალ-ყურს

ბელია! რა სიტყვის პასუხია! თუმცა მე ორმოც თუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არცა მსხმია და თუნდა მქონებოდეს და მსხმოდეს, ამაში სამარცხვინოს არასა ვხედავ, რადგანაც მგონია რომ არც ჩემი მაბეზღარი დაიწუნებდა ორმოც თუმნიან ქურქს, თუ როგორმე მოიხერხებდა მაგრამ მაინც სასურველია ვიცოდეთ: აქ ჩემი, ვთქვათ, ორმოც თუმნიანი ტყუილი ქურქი რა მოსატანია, რა შუაშია?

რაკი უმიზეზო ქვეყანაზე არა არის რა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც არის ერთი რამ მიზეზი: ან ის რომ საშინელი უსამართლოება დაენახვებინა ქვეყნისათვის, აქაო და ერთის მხრით ორმოც თუმნიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და მეორეს მხრით ნახევრად შიშველი საცოდავი გლეხი, ან ალბად მე გამფრთხილებია, არ გაცივდესო, და ორმოც თუმნიანი ქურქი წამოუსხამს, თუ მართლა არა, სურვილით მაინც.

ამ გაფრთხილებისათვის დიდი მადლობელი ვარ, ხოლო ვთხოვ ჩემს მწე მქებარე ავტორს მიბძანდეს, ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოც თუმნიანი კი არა, თუნდა ას თუმნიანი ქურქი წამოისხას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყიდან გზად მომავალ კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი. თუ კაცმა განგებ ჩემს შემოღობილ ეზოზე არ ჩამოიარა, კაცი ჩემის ბალკონიდან კაცს ვერა სასწაულით ვერ დაინახვს, ხოლო ჩემს ეზოზე ჩამოვლა გარეშე კაცს არ შეუძლია ისე, რომ ჩემმა ძაღლებმა ფეხზე დააყენონ და არ გაწეწ-გაგლიჯონ

იქნება ჩვენმა გულწრფელმა კაცთ მოუყვარე ავტორმა ეს ძაღლების ყოლაც დამიგმოს,—თუ ილია ჭავჭავაძე კაი კაცია, გლეხისათვის საშიშარი ძაღლები რადა ჰყავსო და თუ ჰყავს, რატომ ისე არ გაუწურთნია, რომ მარტო თავადი და აზნაური სწეწონ და ჰგლეჯონ და გლეხს კი მუხლ მოყრით მიეგებებოდნენო. იმტომ მყავს ამისთანა კაპასი და გაუწურთვნელი ძაღლები, რომ მარტო ვდგევარ მთაში. ტყის პირას სოფელზე კარგა მოშორებით და, თუ კაპასი, აფთარი ძაღლები არ ვიყოლიე, ნადირისა და ქურდის შიშით მე იქ არ მედგომილება

მაშასადამე, ჩემი ბალკონზე დგომა, იქიდამ ყურება მისი თუ—ჩემი მოურავი როგორ ამტვრევს გლეხს ზურგზე კოკებსა, ჩემი გულიანად სიცილი და წაქეზება მოურავისა,—სულ მთლად, ეხლე კი ვიტყვი, უნამუსო ზღაპარია

არც ეს მაკმარა ამ ყოველ მართებულობაზე, ყოველ ადამიანობაზე ხელ-აღებულმა ავტორმა და აი სადამდე გაადგმევიანა უწმინდური ფეხი საზიზღარ ბეზღობას. იგი აი რით ათავებს ამ მოჭორვილს ამბავს კოკების მტვრევისას

„უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა, დასველებული გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშემობის გამო გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალ ტანჯული და წამებული სიცოცხლეო“.

აი, ბატონებო, ხომ ჰხედავთ, რა ღმერთი გამწყრომია! კაცი თუ ჩემის ხელით არ მომიკლავს, სულ ცოტა რომ ვთქვათ კაცის სიკვდილის მიზეზად ხომ ვარ გამომჟღავნებული, საქვეყნოდ სამარცხვინო დაღ დაკრული, საქვეყნოდ სახელ გატეხილი.

ეს გლეხ-კაცის საკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, სწორედ მოგახსენოთ, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა კაცის სიკვდილის მიზეზად გადომა!... თუმცა ვიცოდი, რომ ავტორი ჩემს დასწრებას კოკების მტვრევაში სტყუის და მით ცოტაოდენი ნუგეში უნდა მეცა ჩემის თავისათვის, რომ დანარჩენიც ტყუილი იქნება, მაგრამ რა მაფიქრებინებდა, რომ ეს ამ ზამთარს გურამიანთ-კარს გლეხ კაცის სიკვდილი მაინც მართალი არ იქმნებოდა.

განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულებით. ამიტომაც გულში გამიარა,—ვაი თუ მართლა ჩემს მოურავს ღმერთი გასწყრომია, ეს კოკების მტვრევა ჩაუდენია და ამ მტვრევას კაცის სიკვდილი ზედ მოჰყოლია. მოვკითხე ამისი პასუხი ვისაც ჯერ არს, და იცით, ბატონობო, რა გამოვიდა ჩემდა სასიხარულოდ და ავტორის სამარცხვინოდ

ის გამოვიდა, რომ ავტორის მიერ შეთითხნილს ტრაგედიას ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონია, როგორც დასაწყისი.

თურმე თუ იტყვით: გურამიანთ-კარს ამ ზამთარს არც ერთი მამა-კაცი გლეხი არ გადაცვლილა არამც თუ ჩემის მიზეზით, არამედ სხვა მიზეზითაც.

პირველ ხანს ეს საოცარი ამბვი არ დავიჯერე, კიდევ ვიტყვი: აბა ჰკუათა მყოფელი ადამიანი კაცის სიკვდილის მიზეზად როგორ გამხდიდა საქვეყნოდ იქ, რაცა არავინ მომკვდარა გავგზავნე გურამიანთ-კარს იქაურ მღვდელთან კაცი და, რადგანაც ჩვენში და ერთობ ვაკე საქართველოში ზამთარი და ნამეტნავად ყინვა ქრისტიშობის თვიდან იწყება და არა ადრე, ვკითხე შარშან ქრისტეშობისთვიდამ წლევანდელს აპრილამდე მომკვდარა ვინმე გლეხ-კაცი გურამიანთ-კარს და აი რა პასუხი მომივიდა წერილი: შარშან პირველ დეკემბრიდამ წლევანდელ პირველ აპრილამდე მამა-კაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა''.

ნუ თუ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა მაგალითი, რომ ბეზღობას ამისთანა რამ მოეხდინოს სადმე? ნუ თუ მაგალითი ყოფილა სადმე, რომ კაცის სიკვდილი არსად იყოს: კაცმა ეს სიკვდილი თვით განგებ მოჭოროს და ამ არ ყოფილის სიკვდილის მიზეზად კაცი ვინმე გახადოს.

ნუ თუ იქნება და მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზღობისა ამაზე უფრო უუსაძაგლესი, ამაზე უფრო შემაზრზენი, ამაზე უფრო გულისასამღვრევი?—ნუ თუ ჟურნალს, პრესსა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? და თუ ასეა, ნუ თუ სამართალი არ მიგვიძღვის წყევლა-კრულვით ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებობის წამწყმედი და ძირს დამცემი პრესსა შევაჩვენოთ! ნუ თუ სამართლიანის გულის წრომით არ უნდა მიღებულ იყოს თვით პრესსისაგანვე ამისთანა ყოვლად უკადრისი საქციელი?

მე ამას მარტო იმისთვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელ შეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავ მდები, ხომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედ ხელ აღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესსისა მჩვრად უქცევია. ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილის წამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია.

აფსუს. სამართლიანად თავ-მოწონებულო პრესსავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, სადა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭია-ღუა ბეზღობისა ჰყუპალობს და თავის ბუდეს იკეთებს.

ბეზღობა, ჯაშუშობა სამართლიანად ცნობილია, ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი და უტყუარი, უცილობელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშუშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნეობა დაცემულობისა.

არ ვიცი,—რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთვევაში მე ვარ, მთელს გლეხ-კაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ. დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდ იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ, რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.

**ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.**

არაფერს აღევნებდა... გული?.. გული კი ისე ჰქონდა გალიებული, თითქო ვაჭრის შვილი კი არა, მეფის ქალიშვილი ბრძანდებოდეს.

და... უწყრება თავისს თავს მასწავლებელი, იგინება, ჯავრობს, რომ ასე მოსტყუვდა. „ეს ოხერი, ბრუციანი ხომ არ ვყოფილვარ! რა მომეწონა მაგისი? ტანადობა უვარგა, თვალადობა, ხასიათი, თუ რა, ასე რომ გავიმწარე ცხოვრება! ეხ, თავო! თავო!“—იძახოდა იგი და რაც შეეძლო ჩქარა მიაბიჯებდა. ...„გვიანღაა ჩემო სარდიონ ივანესძევ? გვიანღაა“...— ჩაულაპარაკებდა თავისს თავს მასწავლებელი, მაგრამ ისევ გაახსენდებოდა თავისი ცოლი, დაეგრიხებოდა სახე და ხმამაღლა დაიძახებდა: „ეხ, რაღა ბევრი ვილაპარაკო! „აზინაური ვარ! ნამდვილი „აზინაური“.

ოფლით გაწურული მივიდა იგი სახლში. ცოლს ჯერ კიდევ არ ეძინა და მხიარულად ეტიტინებოდა პატარა ფინიას რომელიც უკან ფეხებზე დაეყენებინა.

— სად ბრძანდებოდი, ვაჯ ბატონო? სახლში მოსვლა არ გაგახსენდა?.. ვინ იცის იქნებ ქალებთან დაბრძანდები ჰა?

— გაჩერდი ერთი თავი ნუ მომაბეზრე.

— ჰმ, ხომ არაფერი გინახავს, ვაჯბატონო?.. დატოვებ აქანა ცოლს და საღლაც დაეთრევი.. მოდიხარ და კიდევ ჯავრობ! გაჯავრება მე მიყურე შე უმსგავსო, შენა!—მოუმატა ხმას ცოლმა და გაკვირვებული შესცქეროდა ქმარს, რომელიც ასე ამაყი და გულზვიადი ჯერ არ ენახა.

— რაო? უმსგავსო?.. კიდევ არ ჩუმდები?.. გინდა ძაღლივით დაგაღრჩო შე მტარვალო და სულთა-მხუთაო... შენ მე დამასამარე... უდროვოთ მომკალი,—ხმამაღლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა სარდიონ ივანესძე და სიბრაზისაგან დორბლებსა ჰყრიდა მრისხანებამ თანდათან შეიპყრო იგი. სახე გაუფითრდა და მთელი ტანით ჰკანკალებდა.

— დაგაღრჩობ და მოვრჩები შენთან წვალებასაც... იცი, დაგაღრჩობ—ყვიროდა სარდიონ ივანესძე და ქალს თანდათან უახლოვდებოდა... უცბად ხელი სტაცა დიდ სარკეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იატაკზე დაანარცხა.

ვაჰმე!—იკივლა ქალმა. დაიწყო ხელების ჩქარი ქნევა და მოსხლეტილივით მიწვა ტახტზე.

— ვაჰ შენ და არ გადარჩენა!—უყვიროდა სარდიონ ივანესძე და თან მუშტებს ჰკმუშავდა...

აბესალომ ტაბიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

### ორი დღე ხარაგოულში.

(შორაპნის მაზრა) ეს პატარა დაბა თვალსაჩინო ადგილად უნდა ჩავთვალოთ; იგი გაშენებულია რკინის გზის სადგურ „ბელოგორის“ მახლობლად, იქვე მდინ. „ჩხერიმელას“ გაღმა; მდებარეობით, სილამაზით, სალი ჰერით და ცივი წყაროებით შემკობილია, ამიტომ სააგარაკო ადგილად ითვლება.

კულტურული დაწესებულებებით ხარაგოული არ ჩამორჩება უკან სხვა დიდ დაბებს.

გაივლით თუ არა დაბაში, პირველად თვალში მოგხვდებათ მშვენიერი ორ-სამ სართულიანი ორი შენობა. პირველში მოთავსებულია, ორკლასიანი სამინისტრო, და მეორეში კი სამრევლო სასწავლებელი, რომელიც აუშენებია და შეუწირავს საზოგადოებისთვის იქაურ მღვდელს მამა დეკანოსიძეს.

ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში მომიხვდა ღამის გათევა, შენობა, რომელიც დაბლა ქვის არის და ზევით კი ხისა, შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე; სასწავლებლის ეზოში გაშენებულია ვენახი და ბოსტანი; ვენახი, რომელიც შესდგება 600 ძირ ვაზისაგან, კარგი სანახავია; ყურძნის მტევნები, რაც შერჩენია, ყველა სალია ჯერ და მოსავლის იმედსაც იძლევა. ვენახისა და ბაღ-ბოსტნის მოვლა დავალებული აქვს მეურნე-მასწავლებელს ლეონტი ჰიპაშვილს, რომელიც, პატიოსნადაც ასრულებს თავის მოვალეობას.

სასწავლებლის გამგედ ითვლება საკმაოდ გამოცდილი ვლ. არეშიძე; მას სამი წლის განმავლობაში ჩინებულად დაუყენებია სასწავლებლის ყოველგვარი საქმე, რის გამო დაუმსახურებია ადგილობრივ მცხოვრებთა სიყვარული და პატივისცემა.

საღვთო სჯულს ასწავლის ადგილობრივი მღვდელი დეკანოზი მამა ერ. ვეფხვაძე; ამათ გარდა აქ მასწავლებლობენ ბ-ნი მაისურაძე და ქ-ნი ვეფხვაძის ასული...

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქაურ მასწავლებელთა შორის არსებობს სრული სოლიდარობა და ერთსულოვნება. ისინი ერთად შეადგენენ ერთ ოჯახს, მათ შორის არა აქვს ადგილი კინკლაობას და ქიშპობას, როგორც ამას ვხედავთ ბევრგან სხვა სასწავლებელში, ამის გამო სწავლის საქმეც სასურველად არის დაყენებული.

მასწავლებლები თავისუფალ დროს კულტურულ დაწესებულებებში სამსახურს ანდომებენ! ამათ გარდა ხარაგოულში მოიძებნება რამოდენიმე ინტელიგენტი და „მოინტელიგენტეც“, რომლებიც მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ზოგიერთ საზოგადო საქმეებში, მაგრამ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ მათ შორის დიდი უსიამოვნება და შეჯახებაა ატეხილი, რის გამო ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში რამდენიმე საკინკლაო წერილიც კი დაბეჭდეს „მეგობარ-სამშობლოში“.

აქაური ინტელიგენცია გაყოფილა ორ ჯგუფად და ერთი მეორის წინაამდეგ სხვადასხვა ბრალდებებს აქვეყნებენ და პირად ლანძღვა-გინებაზედაც გადადიან მოპირდაპირე ჯგუფები არიან—ერთი მხრით ადგილობრივი პოლიციისა და სასამართლოს მოხელენი, მეორე მხრით კი—მასწავლებლები.

როდესაც რედაქციებს მოსწყინდათ მოპირდაპირეთა ლანძღვა-გინების წერილების ბეჭდვა, საქმე სამედიატორო სამართალზე მივიდა.

მოხელეებმა გამოიწვიეს სამართალში მასწავლებელი ქალები. მასწავლებელთა მხრით მედიატორეთ ვიყავით მიწვეულნი ქუთაისიდან მე და, განჯიდან საზაფხულოდ ჩამოსული თავის სოფელში, მასწავლებელი ტრიფონ ტაბუკაშვილი.

სამშაბათს, ხუთ ივლისს, უნდა მომხდარიყო საქმის გარჩევა; დილის მატარებლით ჩავედი ხარაგოულში, მოვიდა მეორე მედიატორეც; შევიკრიბეთ სასწავლებელში და შეუთვალეთ მოპირდაპირე მხარეს ნაშუადღევის ხუთი საათისთვის თავისი მედიატორები წარმოედგინათ, რათა მოვლაპარაკებულიყავით და თავმჯდომარეც აგვერჩია. მანემდის ჩვენ საქმეს გავეცანით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: 17 მარტს ადგილობრივ თეატრში ორიოდე მოხელეს მასწავლებელ ქალთათვის ანტრაქტის დროს ვითომ რაღაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, რაზედაც ქალებს უპასუხნია: ასეთი უზრდელობის ჩადენა მხოლოდ სოფლის მწერალს შეუძლიაო.

კანცელარიის მწერალს და მოხელეებს ეს სიტყვები „თავისი პროფესიის შეურაცხყოფად“ ჩაუთვლიათ და ქალებზე საჩივარი შეუტანიათ მომრიგებელ სასამართლოში; მოსამართლეს დაუძრახავს მომჩივანთა ასეთი საქციელი და ურჩევია მათთვის სამედიატორო სამართალში გაეთავებიათ საქმე.

შემდეგ მწერალ-მოხელეს ქალები გამოუწვევიათ სამართალში, ამაზე შემდეგ აშენებულა უსიამოვნება მათ შორის და ატეხილა პოლემიკა. როგორც ხედავთ, პატარა საქმეა, მაგრამ ისე გაზრდილა და გაზვიადებულა, რომ დიდი ალიაქოთი გამოუწვევია და ხარაგაულის საზოგადოებაც დაუინტერესებია.

იმ დღეს საქმე უნდა გარჩეულიყო ადგილობრივ თეატრში, ამიტომ საღამოს, 6—7 საათზე აუარებელი ქალი და კაცი მოაწყდა თეატრის კარებს; ყველას სურდა დასწრებოდა საქმის გარჩევას. დაღამდა; მათი მედიატორენი არ სჩანდენ; როგორც გადმოგვცეს, ვინც ყავდათ და სახელებული, აღარ გამოცხადდენ და იქვე დამსწრე საზოგადოებიდან ახალი ვერვინ დანიშნეს და მგონია ვერც იშოვეს ასეთი უცებ.

როდესაც მოპირდაპირე მხარეს ორჯერ—სამჯერ მივეცით წინადადება კომერციული ინსტიტუტის სტუდენტის ბ-ნი დეკანოსიძის მოციქულობით, დაესახელებიათ თავისი მედიატორეები, რათა გვცოდნოდა ვისთან გვქონებოდა საქმე, მაშინ ასე გვიპასუხეს: „ჩვენ გვყავდა არჩეული მედიატორეებად ორი ადამიანი, მაგრამ ისინი ჩვენმა მოპირდაპირეებმა გაგვილანძღეს და ჩამოგვაშორესო და ეხლა წინ და წინ რომ დავასახელოთ და გაგაცნოთ ჩვენი მედიატორენი იმათაც აუტყდებიან და ჩამოგვაშორებენო, ამიტომ სანამ არ დაჯდებით საქმის გასარჩევად, მანამ მედიატორეებს ვერ დავასახელებთ და ვერც მოგცემთო; ამასთანავე ჩვენი სურვილია საქმის გარჩევას თეატრის დარბაზში საზოგადოება დაესწროსო.“ ასეთმა ახირებულობამ მეტად გაგვაკვირვა და ჩვენც უკანასკნელად შევუთვალეთ: „წესი ყოველთვის ასეა, რომ ჯერ მოპირდაპირეები ერთი მეორეს წარმოუდგენენ მედიატორეებს, რომლებიც მოილაპარაკებენ წინასწარ, თავმჯდომარეს აარჩევენ, ხელწერილსა და ოქმს ჩამოწერენ და შემდეგ შეუდგებიან საქმეს; რაც შეეხება იმას, რომ გარჩევას ხალხი დაესწროს, ამის ნებართვა თქვენ უნდა აგეღოთ ორი სამი დღით ადრე, ვისგანაც ჯერ არს, უიმისოდ შეუძლებელია მედიატორეები პასუხის გებაში მიეცენ: თუ გსურთ მედიატორეები დაასახელეთ, გამოგვიგზავნეთ, შემდეგ საქმეც გავარჩიოთ მარტო მოპირდაპირე მხარეთა თანადასწრებით.“ ამ გვარ მოციქულობაში ღამის თერთმეტი საათიც გავიდა, ისინი არ დაგვთანხმდენ და ჩვენც დავანებეთ თავი. მეორე დღეს მე და ტრ. ტაბუკაშვილი საღამომდი დავრჩით ხარაგაულში, მაგრამ მათ აღარაფერი შემოუთვლიათ ჩვენთვის საქმე ასე დამთავრდა.

ჩემის მხრით მე კი ვურჩევდი ორივე მხარეს მოსპონ ერთმანეთ შორის ქიშპობა და შურის ძიება, რათა შეერთებული ძალითა და თანხმობით იმოღვაწონ საზოგადოების სასარგებლოდ და მაშინ მეტსაც გააკეთებენ და ხალხის თვალში მეტ ნდობასა და პატივისცემასაც დაიმსახურებენ, თორემ დღეს ლანძღვა-გინებითა და ერთი მეორის მტრობით საზოგადო საქმეებს ავნებენ, გააფუჭებენ და პატივისცემის მაგიერ კიცხვა-გმობას მიიღებენ საზოგადოებისაგან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობას უნდა შევნიშნო, რომ ჟურნალ გაზეთების წაკითხული ნუმები ინახებოდეს სამკითხველოში თავ თავის რიგზე დალაგებული. მე დამჭირდა გაზ. „სამშობლო-მეგობრის“ ივნისის რამდენიმე ნუმრის მოძებნა და გადათვალიერება, მაგრამ სამწუხაროდ ის ნუმრები, რომლებშიაც მოპირდაპირეთა წერილები იყო დაბეჭდილი, სამკითხველოში არ აღმოჩნდა*).

ლადო ბზვანელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, შემდეგის წერილით მივმართო ბ. არჩილ ელიზბარის ძე მიქაბერიძეს.

ბ. არჩილ! თქვენ მიერ „ჩვენი მეგობრის“, 99 №-ში, მგოსნის ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველოს სასარგებლოთ ფულაბებით შეკრებილ ანგარიშის დაბეჭდვით თქვენი თავმოყვარეობა დაიკმაყოფილეთ.

ხოლო სამზრუნველო კომიტეტი კი შეურაცხყავით, რადგან მის დაუკითხავათ კომიტეტის სახელით მადლობას უძღვნით ფულაბების დამტარებელთ და შემწირველთ და იმავე დროს სრულიად უსაფუძვლოდ ლანძღავთ ზოგიერთ მათგანს. მე კი იმას მოგახსენებთ, რომ თქვენ, როგორც თავმჯდომარე, ვალდებული იყავით, ჯერეთ ეს შემოსავლის ანგარიში სამზრუნველო კომიტეტისთვის მოგეხსენებიათ და შემდეგ გამოგექვეყნებიათ.

ანგარიშში თქვენ ბრძანებთ: „კომიტეტის წევრნი არ გვეკითხებიან, დაკისრებულ საქმეს გაურბიან და მით ხელს გვიშლიანო“,

ნეტავი თვითონ თქვენ არ აფერხებდეთ საქმეს, თორემ წევრნი თავიდგანვე გულმოდგინეთ შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას. თქვენ კომიტეტმა დაგვავალათ ნება აგეღოთ ფულაბებით ფულის შესაკრებად და თუ ამის ასრულება არ შეგეძლოთ, ეს კომიტეტმა რა იცოდა!

რაც შეეხება ჩემს პირადად შეურაცხყოფას ამავე ანგარიშში, ერთი რამ უნდა გკითხოთ: რად აჩქარდით და არ ინებეთ ჩემი შეკითხვა, მექნებოდა თუ არა გასამართლებელი საბუთები. აგერ წელიწადი შესრულდა და გადაათვალიერეთ თქვენგანვე შეუენებული ოქმები, რომლის წერა თქვენ გებარებათ, მე თუ სამზრუნველო კომიტეტის რომელიმე კრებაზე დავკლებივარ და შეძლებისდაგვარათ არ მეშრომოს, მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ თქვენ ბრძანებებით თვენს ამხანაგობაში უსიამოვნების შემტანი.

როდესაც შევიკრიბენით და კომისიებს ვანაწილებდით, თქვენ მე მიბრძანეთ, უსათუოდ ეს და ეს ფულაბი თქვენ უნდა ატაროთო, ამაზედ როგორც მე, ისე ზოგიერთმა წევრმა შეგნიშნეს, რომ ჩვენ სხვა საქმეც გვეყოფა და ამისათვის სხვა გამოვნახოთო, მაგრამ თქვენ, როგორც სხვა დროს, ძალით ჩამწერეთ სიაში—რომ არაფერი გამეწყო, მე პირადად გთხოვეთ, რომ განმთავისუფლებიეთ, ჯერ ერთი იმიტომ რომ ფეხი მტკივა და ვერ შევძლებ სიარულსთქო და მეორეც ისეთი სადავო საქმე მაქვს დაკისრებული, რომ ვერ მოვიცლი მეთქი, მაგრამ თქვენთან არაფერი არ გამივიდა.

მეორე დღეს, 28 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მოგართვით ბარათი, რომელშიაც აგიხსენით მიზეზი ჩემი არ გამოცხადებისა, მაგრამ თქვენ მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც საჭიროდ დაინახეთ ჩემი გაზეთში გალანძღვა. თქვენ თავს იმართლებთ იმავე ანგარიშში, მე სად მეშოვნა სამაგიერო კაციო, როდესაც ერთი საათის წინ მივიღე ცნობაო. ჯერ ერთი, რომ ფულის შეკრება მეორე დღეს, 29 ივნისს, 11 საათზე უნდა დაეწყოთ და არა ერთი საათის შემდეგ და მეორე, წინდაწინვე ხომ გითხარით უარი!

ამ დროს განმავლობაში კაცის შოვნა მგონი კი შეიძლებოდა, როდესაც ჩემს გარდა ამავე სამზრუნველოში 15 პირია და ერთს გარდა, არც ერთი მონაწილეობას ამაში არ ღებულობდა, აბა გვიბრძანეთ ვის მიმართეთ? მაგრამ თქვენ ხომ პირადის ანგარიშით იხელმძღვანელეთ ჩემს საწინააღმდეგოთ, როგორც ეს ჩაიდინეთ ინჟინერ ფრიკთან და სხვებთან. ნუ დაგვავიწყდებათ ის ფაქტი, მე რომ გამხილეთ კახიანის აფთიაქის საწყობში, თქვენ თქვენის უტაქტობით ყველა წევრები დაგვითხოვეთ და ამით საქმეს აფერხებთ თუმცა პირადად როგორც უხუცესს, ყოველივეს მოგითმენთ ოღონდაც საზოგადო საქმეს არა ევნოს რა მეთქი ჩვენი კინკლაობითქო. თქვენ ასეთი ჩემი შენიშვნა არ მოგეწონათ და ვითომც შეურაცხყოფილმა დასტამბეთ ზემოაღნიშნული წერილი, იმ მიზნით, რომ მე გაგელანძღეთ. ამ თქვენ შეუფერებელ მოქცევას, მგონია, არც სხვა წევრები დაგითმობენ და სათანადო პასუხს გაგცემენ.

ჩემი უკანასკნელი მოხსენება ასეთი გახლავთ, მე თავიდგან და ეხლაც მზათ ვარ ყოველივე დახმარება გაუწიო [illegible] დაწესებულებას, მხოლოდ [illegible] და როგორც შემიძლია და არა [illegible] ბრძანებით [illegible] ლებით. ჩემი პირადი სურვილია ასე მოვიქცე, ამას მიკარნახებს ჩემი ადამიანური მოვალეობა რაკი ასეთი შეგნება მაქვს, ჩემთვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს ვისმეს მიერ წაქეზება, ლანძღვით შეშინება და სხვა ამისთანები.

ბატონებო, ჯერ საქმე არ დაგვიწყია და ასეთი უთანხმოება არის კომიტეტის წევრთა შორის, განა შეიძლება ნაყოფიერი მუშაობა ამ პირობებში?

ჩემი რჩევა გახლავთ, ჩამოცილდით საქმეს პატივ-მოყვარენო, პირადი ანგარიშების მქონენო და გაზეთების ფურცლებზე თავის გამოჩენისათვის მჯდაბნელნო, ხოლო ჭეშმარიტ-მუშაკნო მოჰკიდეთ საქმეს ხელი და მშვიდათ და ჩუმად გააკეთეთ საშვილიშვილო საქმე.

სამზრუნველო კომიტეტის წევრი.
კალენიკე ჩხაიძე.

*) რედაქციაში ინახება რამდენიმე წერილი მოპირდაპირეებისაც, რომელთა დასტამბვა შეუსწორებლად შეუძლებელი იყო.

ახლა კი, ჩვენი თანამშრომლის ამ წერილის შემდეგ, რედაქცია სულ აღარ დაბეჭდავს. ერთი წერილი ეკუთვნის ბ—ნ ალექს ბოჭორიშვილს, მეორე „ორბს“ და ერთმანეთის ლანძღვა გინებით არის სავსე.. საგანი კი მხოლოდ ბ—ნ ბზვანელის წერილშია გამორკვეული და სრულიად საკმარისია საქმის ვითარებისათვის.

რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრ ვია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.
თ.

## ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაგანულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშიფის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)